საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

შეზღუდული პასუხისმგებელი საზოგადოება „მეტრო პროჟე“-ს (ს/კ 400228160) დირექტორი
ბ-ნი ვარუჟან ვართანიანის

ელ.ფოსტა. agras.tm@mail.ru
ტ. 593 71-83-76.

სკრინინგის განცხადება

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “მეტრო პროჟე” (რეგისტრირებული: საქართველო, თბილისი, გ.სვანიძის N6, ბინა N29, გეგმავს ანტიფრიზის წარმოებას ქალაქ თბილისში, დასახლება ავჭალა, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია 01.11.03.010.004 (GPS კოორდინატში X=484160.00; Y=4628860.00).

საწარმოში დღეში 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით იგეგმება 1 ტონა ანტიფრიზის წარმოება, ანუ წელიწადში 260 სამუშაო დღით 260 ტონა პროდუქციის წარმოება, რომლისათვის გამოყენებული ნედლეულის რაოდენობები ერთი ტონა პროდუქციის წარმოებისათვის ტოლა;

1) ტექნიკური ბორაქსი - 6.2 კგ/ტ-ზე ანუ 1.612 ტ/წელ;
2) ტექნიკური ნატრიუმის ნიტრიტი - 1 კგ/ტ-ზე, ანუ 0,260 ტ/წელ;
3) ტექნიკური ბენზოინის მჟავა - 7 კგ/ტ-ზე ანუ 1.820 ტ/წელ;
4) ტექნიკური კაპტაქს ემბეტე - 0.25 კგ/ტ-ზე ანუ 0,065 ტ/წელ;
5) დექსტრინსი - 0.64 კგ/ტ-ზე ანუ 0,1664 ტ/წელ;
6) ნატრიუმის ჰიდროქსიდი - კაუსტიკური სოდა - 45 კგ/ტ-ზე ანუ 11.700 ტ/წელ;
7) ემატება პენოგასიტელი Penta-4604 – 0.06 კგ/ტ-ზე ანუ 0,0156 ტ/წელ;
8). ეთილენგლიკოლი - 540 კგ/ტ-ზე ანუ 140,400 ტ/წელ;
9). ფერის მიმცემი პიგმენტი - 0.01 კგ/ტ-ზე ანუ 0.0026 ტ/წელ;
10). წყალი 400 კგ/ტ-ზე ანუ 104 ტ/წელ;

საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” II დანართის მე-6 პუნქტის 6.1 ქვეპუნქტის თანახმად, შუალედური პროდუქტის ქიმიური დამუშავებით ქიმიური ნივთიერების წარმოება და 6.3 ქვეპუნქტის თანახმად, ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას და სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებას.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით ვარუჟან ვართანიანი

დირექტორი

№ 3870 04 03 21 1/СВ 02

დანართი: 1. სკრინინგის ანგარიში;